Frontausgabe – Informationsmaterial

Georgische Zeitung „SAKARTHWELO"

საქართველო

№ 7 (185) გამოც. მე-4 წელი. ქართველ მოხალისეთა ყოველკვირეული გაზეთი ბერლინი, 19 თებერვალი, 1945 წ.

ურყევი რწმენით

როგორც გერმანიის, ისე უცხოეთის პრესაში ბევრი იწერებოდა იმ დიდი შეტევითი ბრძოლების მომზადებისა და დაწყების შესახებ, რომელსაც საბჭოები აწარმოებენ, დაწყებული 12 იანვრიდან. მრავალი „წინასწარმეტყველება" გამართლდა, მაგრამ მრავალი გაცრუვდა და ისტორიას ჩაბარდა. როგორც ყოველთვის, კაცობრიობის ისტორიის მანძილზე წარმოებული ბრძოლების ანალიზი გვიჩვენებს და მიმდინარე ომმაც ეს დაგვიმტკიცა, რომ ყველა დიდი შემოტევები, აღწევენ რა თავისი განვითარების კულმინაციურ წერტილს, ჰკარგავენ ძალას და ეშვებიან უკან, დასაწყისისაკენ. სტალინის მიერ წარმოებული გრანდიოზული შემოტევა სწორეთ ასე განვითარდა. მან მიაღწია თავისი განვითარების უმაღლეს წერტილს, მაგრამ უმაღლეს მიზანს კი — ვერავითარ შემთხვევაში. ჩვენი მტრები ერთხელ კიდევ დარწმუნდებიან, რომ ომის მსვლელობაზე ვერავითარ გავლენას ვერ მოახდენს იალტაში ეხლახან დამთავრებული სამთა კონფერენცია, ისე, როგორც ამას თეირანის კონფერენციამ ვერ მიაღწია. სტალინს, ჩერჩილსა და რუზველტს შეუძლიათ მრავალი დადგენილება გამოიტანონ, მაგრამ ჩვენი რწმენა და მისწრაფება სულ სხვაა და ვერავითარ შემთხვევაში მათ სურვილებს ვერ შეურიგდება.

მალე მესამე წელი შესრულდება, რაც კავკასიის ერების: ქართველების, სომხების, აზერბაიჯანელებისა და ჩრდილო-კავკასიელების მოხალისეთა მიერ შედგენილი ლეგიონები უდიდეს დახმარებას უწევენ გერმანელებს ბოლშევიკების წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლაში და მათთან ერთად, მხარდამხარ იბრძვიან ჩვენი სამშობლოს განთავისუფლებისათვის. ჩვენ გვწამს, რომ გავიმარჯვებთ! ეს რწმენა არ არის ფანტასტიკური, არამედ მრავალმხრივ გამოცდილ ისტორიულ ფაქტებს ეყრდნობა. ისე, როგორც წარსულში, კავკასიის ერები გაჭირვებისა და დალხინების დროს ერთმანეთის მხარში უდგნენ, დღესაც, როდესაც ჩვენი ქვეყნის განთავისუფლების საქმე საფრთხეში ჩავარდა, კავკასიის მოწინავე შვილებმა გადასწყვიტეს ერთიმეორესთან ხელიხელჩაკიდებული და მტკიცე კავშირში იბრძოლონ ბოლშევიკების წინააღმდეგ ჩვენი სამშობლოს განთავისუფლებისათვის. ამ მიზნის წარმატებით შესრულებისათვის გასულ წელს კავკასიის ერების საკავშირო შტაბების წარმომადგენელთა მიერ შექმნილ იქნა სპეციალური დელეგაცია, რომლის მიზანი იყო ხელმძღვანელობა გაეწია საერთოკავკასიური საქმისათვის კავკასიური კომიტეტის ჩამოყალიბებამდე.

ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერში ვაქვეყნებთ ცნობას აღნიშნული კომიტეტის შექმნის შესახებ, რაც უთუოდ უძლიერესად პროგრესული ნაბიჯია ჩვენს მუშაობაში და აშკარად ლაპარაკობს იმ დიდ მონდომებაზე და სამშობლოს განთავისუფლებისათვის ბრძოლის სურვილზე, რომელიც დღევანდელი დღის სირთულემ კი არ შეასუსტა, არამედ ერთიათად გაზარდა. ყველა ქართველი, აზერბაიჯანელი თუ სომეხი, ღრმად დარწმუნებული უნდა იყოს იმაში, რომ მზაკვარ მტერზე მხოლოდ იმ შემთხვევაში გავიმარჯვებთ, თუ საამისოდ ყოველგვარ საშუალებას გამოვიყენებთ და ყველა ძალებს დავძაბავთ ამ მიზნის მისაღწევად. ყველამ კარგად უნდა ახსოვდეს, რომ იმარჯვებს მხოლოდ ის, ვისაც ნერვები მტკიცე აქვს და გამარჯვებაში დარწმუნებულია. წარსულში ეს თვისება ჩვენს მამაპაპათ საუკეთესოდ ახასიათებდა, დღეს ჩვენც შექმნილი კრიტიკული მდგომარეობა გვავალებს გავაერთიანოთ ყველა ჩვენი ძალები, განვამტკიცოთ ჩვენი რიგები და გერმანიასთან მჭიდრო კავშირში მოვუპოვოთ თავისუფლება და დამოუკიდებლობა ჩვენს საყვარელ სამშობლოს.

განადგურებულია 8.000 საბჭოთა ტანკი

როგორც გერმანიის შეიარაღებული ძალების მთავარსარდლობა იტყობინება, აღმოსავლეთში საბჭოთა შემოტევის დაწყებიდან 15 თებერვლამდე განადგურებულია 8.000 საბჭოთა ტანკი.

სს-ის რაიხსფიურერის დეპეშა გენერალ ვლასოვისადმი

ძვირფასო გენერალო!

პოლკოვნიკ სახაროვის საშტაბო ნაწილმა, ასრულებდა რა თავის ახლანდელ დავალებას, ბრძოლაში საუკეთესოდ ისახელა თავი.

მე უკვე გავეცი ბრძანება, რათა წარმოდგენილი ოფიცრები და ჯარისკაცები მამაცობისათვის დაჯილდოვებულ იქნან რკინისჯვრის ორდენებით.

გილოცავთ, რომ თქვენ მეთაურობთ ასეთ მამაც და თავდადებულ ნაწილს მიბარებული ხალხით.

თქვენი ჰ. ჰიმლერი.

გენერალ ვლასოვის არმია მდინარე ოდერთან

აღმოსავლეთის ფრონტის ერთერთ უბანზე, მდინარე ოდერთან, მტრის ხიდისასვლელი სიმაგრის წინააღმდეგ ღამის შეტევაში სახალხო ლაშქრის გრენადერთა ერთ დივიზიასთან ერთად მონაწილეობას ღებულობდა გენერალ ვლასოვის საშტაბო დანაყოფი პოლკოვნიკ სახაროვის სარდლობით. გენერალ ვლასოვის არმიის ზემოდასახელებულმა ნაწილმა ბრძოლის მთელი ხნის განმავლობაში (ბრძოლა გრძელდებოდა 12 საათს) თავი ისახელა სიმამაცითა და საბრძოლო გამოცდილებით. ვლასოვის ჯარისკაცები იბრძოდნენ განსაკუთრებული სისასტიკითა და ფანატიზმით, რომელიც აღფრთოვანებდა სხვებსაც. ვლასოველებმა დაამტკიცეს, რომ ისინი ხელჩართული ბრძოლის საუკეთესო ოსტატები არიან. მათ ხელთ იგდეს რამდენიმე გამაგრებული პუნქტი. გერმანელმა მებრძოლებმა ვლასოველებს უწოდეს „ტანკების გამანადგურებლები".

ბრძოლის დროს ვლასოვის ჯარისკაცები მიმართავდნენ წითელარმიელებს, რათა მათ დაეყარათ იარაღი და გადმოსულიყვნენ გერმანელთა მხარეზე. ტყვეების ჩვენებით გამოირკვა, რომ ამ მოწოდებათა საფუძველზე მრავალმა წითელარმიელმა მართლაც ხელი აიღო ბრძოლაზე.

სასტიკი ხელჩართული ბრძოლების შემდეგ შესაძლებელი გახდა რამდენიმე დასახლებული ადგილის აღება. ასეთი გაფთრებული დაწოლის შედეგად ხიდისასვლელ სიმაგრეზე მყოფმა დანარჩენმა წითელარმიელებმაც შესწყვიტეს ბრძოლა და დანებდნენ გერმანელებს. წამოყვანილია მრავალი ტყვე და აღებულია აუარებელი ნადავლი. საბჭოებმა განიცადეს უდიდესი ზარალი.

პოლკოვნიკი სახაროვი და 4 კაცი მისი გუნდიდან დივიზიის სარდალმა პირადად დააჯილდოვა მეორე ხარისხის რკინისჯვრით.

ბოლშევიკებთან შედარებით ვლასოველთა ზარალი უმნიშვნელოა.

ვლასოვის ნაწილის საბრძოლო დამსახურება ღირსეულად იქნება დაფასებული გერმანელ მებრძოლთა მიერ.

ლეიტენანტი ჰენიკე.

დამთავრდა სამთა კონფერენცია

მრავალი ფაქტი ადასტურებს იმ გარემოებას, რომ ეხლახან დამთავრებული კონფერენცია სტალინის, რუზველტისა და ჩერჩილის მონაწილეობით, წარმოადგენდა ამ უკანასკნელთათვის მხოლოდ სტალინისაგან ბრძანებათა მიღებას. როგორც როიტერის სააგენტო იუწყება, კონფერენცია ტარდებოდა საბჭოთა მიწაზე, იალტაში (ყირიმი). მაშასადამე, ჩერჩილი და რუზველტი კვლავ მივიდნენ თავიანთ მბრძანებელთან, რაც საუკეთესოდ ადასტურებს ამ ორის დამცირებულ მდგომარეობას. წარსული კონფერენცია შესდგა თეირანში, მართალია არა საბჭოთა მიწაზე, მაგრამ მაინც საბჭოების მიერ დაპყრობილ ტერიტორიაზე. ამჯერად ბოლშევიკებმა სრულიად საჭიროდ არ ჩასთვალეს ანგარიში გაეწიათ თავიანთი „მოკავშირეებისათვის" და უბრძანეს ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების მეთაურთ გამოცხადებულიყვნენ მათთან სახლში.

შემდეგ საჭიროა აღინიშნოს, რომ კონფერენცია ტარდებოდა 8 დღის, ბევრად უფრო მეტხანს, ვიდრე წინასწარ იყო გათვალისწინებული და ამერიკელმა ჟურნალისტებმა აქედან გამოიტანეს დასკვნა, რომ მოლაპარაკება დიდი სიძნელეებით ტარდებოდა. შეუთანხმებლობის მთავარი დამნაშავე იყო სტალინი, რომელიც არაფერს უთმობდა თავის ისედაც ყველაფერზე მზადმყოფ მოკავშირეებს.

მაგრამ, მიუხედავად ყველა ამისა, ჩერჩილსა და რუზველტს სურთ თავიანთ ხალხებს მომავალშიც მოაჩვენონ თავი ისე, თითქოს მათ ომის შემდეგაც ექნებათ გადამწყვეტი სიტყვა. იალტაში ჩატარებული კონფერენციის ოფიციალური კომუნიკეს უკანასკნელი პუნქტები ეხლა უკვე ნათლად ადასტურებენ, რა ზომამდე მოექცნენ დასავლეთის სახელმწიფოები ბოლშევიკთა მორჩილებაში.

გერმანელი ხალხისადმი დაპირებული მოწოდება, რომელიც ვილსონისებურ სიცრუეს შეიცავს, კომუნიკეს ჯერ არ გამოუქვეყნებია. იქმნება შთაბეჭდილება, რომ მისი შედგენის დროს კონფერენციაზე თანხმობას არ ჰქონდა ადგილი.

სტალინის გარდა, საბჭოების მხრიდან, კონფერენციაზე მონაწილეობას ღებულობდნენ მოლოტოვი, ერია მაისკი და ბალტიისპირა ქვეყნების ცნობილი ტერორისტი და მკვლელი ვიშინსკი. ეს უკანასკნელი ბოლო ხანებში ცნობილი გახდა თავისი საქმეებით ბუქარესტში, ეხლა, როგორც სჩანს, იგი ევროპელი ხალხების დამონების სპეციალისტიც გამხდარა. ამერიკელი კორესპონდენტი იუწყება, რომ ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო საქმეთა მინისტრი სტეტინიუსი იმ პუნქტებში, რომელიც გერმანელი ხალხის განადგურებას ეხება, სავსებით ეთანხმება და მხარს უჭერს მორგენთაუს გეგმას. ლონდონიდანაც იუწყებიან, რომ ჩერჩილის მთავრობა მთლიანად ეთანხმება საბჭოთა კავშირის ზრახვებს.

თუ რა ბედი ეწევა ევროპას, ბოლშევიკებმა რომ შესძლონ აქ თავიანთი სისხლიანი მართველობის განმტკიცება, ამას ადასტურებს აღმოსავლეთ გერმანიაში მომხდარი საშინელებანი. ამიტომაც არის, რომ მთელი გერმანელი ხალხი და მასთან ერთად ყველა მისი მეგობარი ერების წარმომადგენლები აღსდგნენ ამ ბოლშევიკური ნიაღვარის წინააღმდეგ და ისინი იბრძოლებენ ყველა ძალებით მანამდე, სანამ იგი შეჩერებული და განადგურებული არ იქნება.

კავკასიის ერების ერთიანობისათვის

აზერბაიჯანის, საქართველოს, სომხეთის საკავშირო შტაბებმა და ჩრდილო-კავკასიის ნაციონალურმა კომიტეტმა, რომლებიც არსებითად წარმოადგენენ აღნიშნული ერების ერთადერთ და სრულუფლებიან წარმომადგენლებს, გადასწყვიტეს დაარსონ კავკასიური კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით:

აზერბაიჯანის საკავშირო შტაბიდან:
1. ალიბეკოვი,
2. მაიორი დუდანგინსკი,
3. დასახელებული იქნება მომავალში

საქართველოს საკავშირო შტაბიდან:
1. ქედია,
2. მაღალაშვილი,
3. კაპიტანი გაბლიანი;

სომხეთის საკავშირო შტაბიდან:
1. ჯამალიანი,
2. პოლკოვნიკი სარქისიანი,
3. პოლკოვნიკი ტიგრისი;

ჩრდილო-კავკასიის ნაციონალური კომიტეტიდან:
1. კანტემირი,
2. მაგომა,
3. დასახელებული იქნება მომავალში.

კავკასიური კომიტეტის მიზანია: გაერთიანება, კოორდინაცია და ხელმძღვანელობა მთელი იმ საქმიანობისა, რომელსაც დღეს აწარმოებენ კავკასიის ერების წარმომადგენლები, რათა ამ გზით უფრო ნაყოფიერი მუშაობა ჩაატარონ ჩვენი სამშობლოს განთავისუფლების, აღდგენისა და დამოუკიდებლობის მიღწევისათვის.

კაპიტანი გივი გაბლიანი აღმოსავლეთის ფრონტზე

ქართული საკავშირო შტაბის წევრი და სამხედრო განყოფილების უფროსი, კაპიტანი გივი გაბლიანი გაემგზავრა აღმოსავლეთის ფრონტზე, სადაც მდ. ოდერის რაიონში, ქართული ლეგიონი ასრულებს მეტად საპასუხისმგებლო სამუშაოებს და უკავია თავდაცვის ერთ-ერთი ხაზი.

კაპიტანმა გ. გაბლიანმა დაათვალიერა მოხალისეების მიერ შესრულებული სამუშაოები, ესაუბრა თვით მოხალისეებს და კმაყოფილი დარჩა იმ გარემოებით, რომ ქართველ ჯარისკაცებს საესებით შეგნებული აქვთ დღევანდელი დღის სერიოზულობა და მუშაობენ მტკიცე რწმენით, რომ გადამწყვეტ ბრძოლაში საყვარელ სამშობლოს ნეტარ თავისუფლებას მოიპოვებენ.

„განთავისუფლებულ" ქვეყნებში

ინფლაცია იტალიაში

ფლორენციის შრომის ბირჟამ გამოაქვეყნა სტატისტიკური ცნობები, რომელთა მიხედვით მტკიცდება, რომ „მოკავშირეთა" მიერ დაპყრობილ იტალიის ოლქებში თანდათანობით მატულობს მოსახლეობის საარსებო მინიმუმი. ასე, მაგალითად, 5-წევრიანი ოჯახი, 1938 წელს, ერთი კვირის განმავლობაში ხარჯავდა 228 ლირას, ხოლო 1944 წელს — 4.950 ლირას.

სასულიერო პირების დევნა ლიტვაში

ბოლშევიკების მიერ დაპყრობილ ქვეყნებიდან ჩვენამდე მეტად მცირე რაოდენობის ცნობები აღწევს. საბჭოთა ცენზურა ყოველ ღონეს ხმარობს, რათა დაუმალოს მსოფლიოს ის საშინელება, რომელიც იქ ხდება. მიუხედავად ამისა, ნეიტრალურ სახელმწიფოთა პრესის გზით მიღებულია ცნობა, რომ ლიტვაში ძლიერდება სასულიერო პირების დევნა საბჭოთა ხელისუფლების მიერ. შინსახკომის აგენტები დაძრწიან მთელ მხარეში და აპატიმრებენ ცალკეულ მსახურთ. უმეტეს შემთხვევაში მათ დახვრეტა მოელით.

პოლონელი ხალხის ტრაგედია

ბრიტანეთის პრესა გამოხატავს შიშს იმ ამბების გამო, რაც ეხლა ხდება პოლონეთში ლუბლინის ხელისუფლების უღელქვეშ. გაზეთი „სპექტატორი" სწერს, რომ „ლუბლინის მთავრობა ხელს უწყობს სამოქალაქო ომის გაჩაღებას". „ტაიმ ენდ ტაიდის" ცნობით ლუბლინის მმართველები აპატიმრებენ პოლონეთის ნაციონალური მოძრაობის მონაწილეებს, ხვრეტენ მათ ან ასახლებენ საბჭოთა კავშირის შორეულ რაიონებში. „მას შემდეგ, რაც ლუბლინის კომიტეტი დროებით მთავრობად გადაიქცა, — სწერს „ტაიმ ენდ ტაიდ", — ცხადი გახდა, რომ ხელისუფლებამ მიზნად დაისახა მთელი ნაციონალური მოძრაობის განადგურება". ჟურნალი „ტრიბუნი" ლაპარაკობს იმ საშინელ ტრაგედიაზე, რომელსაც ამჟამად პოლონელი ხალხი განიცდის.

ბუდაპეშტის გარნიზონი გამოვიდა გარემოცვიდან

გერმანიის არმიის უმაღლესი სარდლობა იუწყება: ბუდაპეშტის დამცველი გარნიზონი, რომელიც 50 დღის განმავლობაში იბრძოდა სრულ გარემოცვაში და გმირულად ებრძოდა მტრის რიცხობრივად მრავალჯერ ჭარბი ძალების წინააღმდეგ, მას შემდეგ, რაც ქალაქში ამოიწურა სამხედრო და სასურსათო მარაგი, ბრძანების თანახმად გამოვიდა რკალიდან. პირველმა ნაწილებმა უკვე მიაღწიეს ნაჩვენებ პუნქტებს და შეუერთდნენ იქ მყოფ გერმანულ ჯარებს.

ლეიტენანტი შიურენის გმირობა

ჩუნტოჩისევს რაიონში, ლეიტენანტ შიურენის სადაზვერვო თვითმფრინავს გამოედევნა საბჭოთა საბრძოლო თვითმფრინავი და შეუტია მას. მიუხედავად იმისა, რომ მტერს აშკარა უპირატესობა ჰქონდა, ლეიტენანტი შიურენი არ გაექცა ბრძოლას და მალე მტერი ისე დაზიანა, რომ თვითმფრინავი აინთო და დედამიწისაკენ შეტრიალდა.

რამოდენიმე წუთის შემდეგ სრულიად სხვა მიმართულებიდან გამოჩნდა მეორე საბჭოთა თვითმფრინავი, რომელთანაც შიურენი დაუყოვნებლივ ჩაება ბრძოლაში და სულ რამოდენიმე წუთში ასეთივე დაზიანებული მტერი ძირს დაეშვა. შიურენმა ძლიერი სროლით მას ცეცხლი წაუკიდა და დასწვა.

უკან დაბრუნებისას ლეიტენანტმა შიურენმა ერთერთ სადგურში ნახა ორთქლმავალი დაიანა, რომლებიც პირდაპირ მიექანებოდნენ მეორე გაიმდი. უკანასკნელი ხომალდებით გაჩერდა ლეიტენანტი თავის დაცვისა ტყვიისწამლით დატვირთულ და ფრონტზე მიმავალ მატარებელს, რომლის შემადგენლობა მალე ცეცხლის ალში გახვია.

სასტიკი ზომები თურქეთის მიმართ

მას შემდეგ, რაც რამოდენიმე თვის განმავლობაში პრესაში და რადიოში წარმოებული უთანხმოებანი საბჭოთა კავშირსა და თურქეთს შორის შესწყდა, „ტასში" სტამბოლიდან მიღებული ანგარიშის თანახმად, კვლავ განახლებულა. საბჭოთა გაზეთებმა და მოსკოვის რადიომ გამოაცხადეს უკმაყოფილება თურქეთის პრესაში მოთავსებული წერილების გამო ბალკანეთის მდგომარეობის, საფრანგეთთან დამოკიდებულებისა და საბჭოთა შეტევის შესახებ.

განსაკუთრებით სასტიკად ესხმიან თავს გაზეთ „ულუსის" რედაქტორს მისი შენიშვნის გამო ტევეთა მეორე რიგის შესახებ საბჭოთა არმიაში, იმაზე, რომ გერმანელებს კიდევ შესაძლებლობა აქვთ ხელის ჩარჩო კვლავ შემოაბრუნონ.

საბჭოთა ელჩი ანკარაში ორიოდე დღისათვის მოსკოვს გაემგზავრა.

დასავლეთის ფრონტზე

განმათავისუფლებელი ომის ფრონტებზე

კვირეული მიმოხილვა

დასავლეთის ფრონტზე კვლავ სასტიკი ბრძოლები მიმდინარეობს. მდინარე ოდერის ზოგიერთ სიდმისაჯვლელ სიმაგრეებთან ბოლშევიკებმა შეძლეს იქნავი წინწამოწევა. სამხრეთ პომერანიაში, სტარგარდთან [illegible] მტრის ყველა შეტევა.

[illegible]

სამხედრო მოქმედება კუნძულ მანილაზე გრძელდება

იაპონიისა და ამერიკის ჯარებს შორის კუნძულ მანილაზე დაწყებული ბრძოლები გრძელდება. [illegible]

შემტევი თავდაცვა

[illegible]

ვ. ს.

„ბრძოლა საბოლოო გამარჯვებამდე"

[illegible]

„პოლონეთის მეხუთე გაყოფა"

[illegible]

მოკლე ცნობები

✱ გერმანიის [illegible]

✱ ბულგარეთში, [illegible]

✱ „სამთა" [illegible]

✱ იაპონიის [illegible]

✱ უნგრეთის [illegible]

✱ მექსიკიდან [illegible]

✱ ამერიკის [illegible]

✱ რუმინეთში [illegible]

✱ ლონდონიდან [illegible]

საინტერესო ამბები

თავისებური შერჩევა

[illegible]

გაგრიჟვებული გინერალი კონსტანი

ცნობილი ფრანგი მწერალი ბერგამენ კონსტანი, [illegible]

პატარა ფელეტონი

სტალინური ავანისტია

[illegible]

ახლა სწორ მოკავშირეებს მიაღწიონ „მუდმივ მეგობრობანობას"

მთავარი რედაქტორი
გრ. ჩადუნელი

[illegible]

Georgische Zeitung „Sakarthwelo"
Potsdam, am Minenberg, Baracke 47.

Druck: Prop.-Fremdsprachendruckerei